საქართველო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45

GEORGIA, SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY, №45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ. ზუგდიდი 14.08.2024 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №51

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრის“ საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრისათვის“ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტის, „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ” ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №94 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-7 მუხლის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 12 აგვისტოს №24-242422553 წერილის საფუძველზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,კეთილმოწყობის მართვის ცენტრს“, მის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (თვითმცლელი “FORD TRANSIT“ რეგისტრაციის ნომერი: AA649RA, საიდენტიფიკაციო ნომერი: WF0CXXTTFC4Y54149) ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის ოდენობა განისაზღვროს 14 000 (თოთხმეტი ათასი) ლარით.
2. განკარგულება გადაეგზავნოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას და ა(ა)იპ “კეთილმოწყობის მართვის ცენტრს“.
3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში. ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. №12).

საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი **თეიმურაზ ბასილაია**